



2023
წელი

მკს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირების
წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“, (შემდგომში - გთუნი) სასწავლო პროცესის ორგანიზების და ხარისხიანად განხორციელების პროცედურებს. სააუდიტორიო, ჰიბრიდული, ელექტრონული სწავლების მონიტორინგის განხორციელებასა და ადმინისტრირებას.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზანი და პრინციპები

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირება დაფუძნებულია შეფასების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვასა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებაზე.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირებაში ჩართული პირები და პროცედურა

1. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება კონკრეტული განრიგის მიხედვით. აღნიშნული პროცესი რეგულარულია და ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებსა და მასში შემავალი სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსებში დაგეგმილ აქტივობებს.
2. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირებას ახორციელებს კომისია შემდეგი (შესაძლო, საჭიროების და მიხედვით) შემადგენლობით: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის პროცესში ასევე ხორციელდება პერსონალის ურთიერთდასწრება (Peer Review), რომელიც მოიცავს ერთი დარგის სპეციალისტების მიერ ურთიერთდასწრებასა და კოლეგიალურ ურთიერთდასწრებას. აღნიშნული ხელს უწყობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განვითარებას. ასევე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

4. სააუდიტორიო/ჰიბრიდულ/ელექტრონულ სწავლებაზე დასწრება ვრცელდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, თუ:

- ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალი პირველად ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტში სწავლებას;
- ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა დაკვირვების საჭიროება;
- გ) სააუდიტორიო მუშაობაზე წინა დაკვირვების შედეგად გამოვლინდა სისუსტეები და გასაუმჯობესებელი ასპექტები დაკვირვებიდან 1 წლის ფარგლებში.
- დ) სტუდენტების მიერ შეფასების გასაჩივრების დროს, პრობლემის იდენტიფიცირების საჭიროების დროს;
- ე) სწავლის შედეგების შეფასებისათვის;
- ვ) საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად, სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებისათვის.
5. სააუდიტორიო/ჰიბრიდულ/ელექტრონული სწავლების დროს. მონიტორინგის შემდეგ კომისია წერს საბოლოო დასკვნას შესაბამისი რეკომენდაციებით.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგების განხილვა და ასახვა სასწავლო პროცესში.

1. სააუდიტორიო/ჰიბრიდულ/ელექტრონულ მეცადინეობაზე დასწრების დროს ფასდება სასწავლო კურსის/კომპონენტის შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით:

- ახსნილი მასალის შესაბამისობა სილაბუსის თემატიკასთან;
- ლექტორის მიერ სალექციო დროის ოპტიმალური გამოყენება;
- სასწავლო რესურსების ეფექტური და ადექვატური გამოყენება;
- სტუდენტების და ჯგუფის საჭიროებების გამოყენება;
- განვლილი მასალის განმტკიცება;
- მასალა ახსნილია გასაგებად, ლექცია ინტერაქციულია;
- ლექტორის პასუხი სტუდენტთა შეკითხვებზე ამომწურავია;
- ლექტორის მიერ სტუდენტებისათვის მიცემული დავალებები გასაგები და დაძლევადა;
- ლექტორი იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- ლექტორი ხელს უწყობს სტუდენტების ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

2.კომისია ქმნის დასკვნას და რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგენს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფს: ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა და სხვა.

3.შეფასების შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ინდივიდუალურად ეცნობება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, რომელთანაც განხორციელდა დასწრება.

4.ფაკულტეტის დეკანი კონკრეტულ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს დასკვნის ანგარიშსა და რეკომენდაციებს. მზადდება სამოქმედო გეგმა სუსტი მხარეების გასამუჯობესებლად და ძლიერი მხარეების განვითარების მიზნით.

5.წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმები და შეფასების ფორმა წარმოდგენილია წინამდებარე წესის დანართი N1-ში.



კოლეგიალური შეფასების (ურთიერთდასწრების) ფორმა

| | |
|---|--|
| ფაკულტეტი | |
| პროგრამა | |
| საგანმანათლებლო საფეხური | |
| მეცადინეობაზე სტუდენტთა რაოდენობა (სიით, ფაქტობრივად) | |
| სასწავლო კურსი | |
| თემა (სილაბუსით დაგეგმილი) *შენიშვნა | |
| სწავლების ფორმატი | |
| მიმღები ლექტორი | |
| დამსწრე/დამსწრეები | |

სალექციო/სააუდიტორიო მუშაობის შეფასება

| N | ინდიკატორები | შეფასების ქულები (1-მინიმალური ქულა, 5-მაქსიმალური ქულა) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ახსნილი მასალა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას; | | | | | |
| 2 | ლექტორი ეფექტურად გეგმავს ლექციას კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით; | | | | | |
| 3 | რელევანტურად არის გამოყენებული სასწავლო რესურსი (ვიდეომასალა - Power-Point, ცხრილები, პოსტერები და ა.შ.); | | | | | |
| 4 | გათვალისწინებულია როგორც ცალკეული სტუდენტების, ასევე მთელი ჯგუფის საჭიროებები; | | | | | |
| 5 | ლექტორი ცდილობს ახალი მასალა დაუკავშიროს განვლილ მასალას და განამტკიცოს სტუდენტების ცოდნა; | | | | | |
| 6 | ლექტორი კარგად არის მომზადებული ლექციისთვის, საინტერესოდ ხსნის მასალას, რაციონალურად იყენებს ლექციისთვის განკუთვნილ დროს, ლექცია ინტერაქტიულია, სტუდენტებს აქვთ საშუალება დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში. | | | | | |
| 7 | ლექტორი სტუდენტების შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად; | | | | | |
| 8 | ლექტორის მიერ მიცემული დავალებები არის გასაგები და დაძლევადი. სტუდენტებისათვის; | | | | | |
| 9 | ლექტორი იყენებს თემატიკის შესაბამის თანამედროვე სწავლების | | | | | |

| | | | | | | |
|----|--|--|--|--|--|--|
| | მეთოდოლოგიას | | | | | |
| 10 | ლექტორი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შემდგომში განსახილველი თემატიკის შესახებ და ხელს უწყობს სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ დამოუკიდებელი ანალიტიკური აზროვნება ; | | | | | |

კომენტარები: (მიუთითეთ ინდიკატორის ნომერი, რომელთან დაკავშირებითაც აკეთებთ კომენტარს)

შეფასების კრიტერიუმები და შედეგი
სალექციო/სააუდიტორიო მუშაობაში ლექტორი აგროვებს მაქსიმუმ 50 ქულას.

| კრიტერიუმი | შედეგი |
|--|------------------------|
| ლექტორის მიერ დაგროვილი მაქსიმალური ქულათა ჯამის 85 %-ი და მეტი | „ძალიან კარგი“ |
| ლექტორის მიერ დაგროვილი მაქსიმალური ქულათა ჯამის 75%-იდან 85%-მდე | „ კარგი“ |
| ლექტორის მიერ დაგროვილი მაქსიმალური ქულათა ჯამის 60%-იდან -75% მდე | „დამაკმაყოფილებელი“ |
| ლექტორის მიერ დაგროვილი მაქსიმალური ქულათა ჯამის 60%-ზე ნაკლები | „არადამაკმაყოფილებელი“ |

ლექტორის შეფასების შედეგი:

ლექტორის მიერ განხორციელებული სალექციო საქმიანობა შეფასებულია, როგორც: „-----“

ხელმოწერები:

თარიღი: